

“სიზ ჯორჯია სადაზღვეო ბროკერი”


სრული შემოსავლის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ლარში)


	2023	2022
შემოსავალი	2801824	2750032
საპროცენტო შემოსავალი		
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება		
საერთო მოგება	2801824	2750032
გაყიდვისა და მიწოდების ხარჯები	-	
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	-352678	-378271
საოპერაციო მოგება	2449146	2371761
ფინანსური ხარჯი, ნეტო		
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული ზარალი, ნეტო	-43286	-165726
სხვა შემოსავალი (ხარჯები), ნეტო	46445	
მოგება დაზღვევამდე	2452305	2206035
მოგების გადასახადის ხარჯი	-205302	
წმინდა მოგება	2247003	2206035
სხვა სრული შემოსავალი		
მთლიანი სრული შემოსავალი	2247003	2206035

ხელმოწერილია და გამოსაცემად ნებადართულია კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით

2024 წლის 8 აპრილს :


გენერალური დირექტორი




ფინანსური დირექტორი

“სიზ ჯორჯია სადაზღვეო ბროკერი”

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ლარში)

	31 დეკემბერი 2023	1 იანვარი 2023
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები		
არამატერიალური აქტივები		
მოკლევადიანი აქტივები		
მარაგები		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,090,920	1,339,844
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,581,903	1,583,146
წინასწარ გადახდილი ავანსი	2,156	
სულ მოკლევადიანი აქტივები	3,674,979	2,922,990
სულ აქტივები	3,674,980	2,922,990
ვალდებულებები და კაპიტალი		
კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	200	200
გაუნაწილებელი მოგება	3,574,319	2,490,693
სულ კაპიტალი	3,574,519	2,490,893
გრძელვადიანი ვალდებულებები		
გრძელვადიანი სესხები		
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		
მოკლევადიანი ვალდებულებები		
მოკლევადიანი სესხები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	100,461	432,097
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	100,461	432,097
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	3,674,980	2,922,990

“სიბ ჯორჯია სადაზღვეო ბროკერი”

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	გადაფასების რეზერვი	სულ
1 იანვარი 2022	200	1195606		1195806
გაცემული დივიდენდები		-911000		-911000
მთლიანი სრული შემოსავალი		2206036		2206036
წინა პერიოდის ნაშთის კორექტირება		51		51
31 დეკემბერი 2022	200	2490693		2490893
გაცემული დივიდენდები		-1163378		-1163378
მთლიანი სრული შემოსავალი		2247003		2247003
წინა პერიოდის ნაშთის კორექტირება		0		0
31 დეკემბერი 2023	200	3574318		3574518

“სიზ ჯორჯია სადაზღვეო ბროკერი”

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:	
მთლიანი სრული შემოსავალი	2,247,003
კორექტირებები:	-
ცვეთა და ამორტიზაცია	-
წინა პერიოდის ნაშთების კორექტირება	-
დარიცხული საპროცენტო ხარჯი	-
საკუროს სხვაობის გადაფასების ეფექტი	(43,286)
ფულადი ნაკადების გადინება საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებებამდე	2,203,717
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	(751,076)
მარაგები	-
წინაწარ გადახდილი ავანსი	(2,157)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(331,636)
ფულადი ნაკადების გადინება საოპერაციო საქმიანობიდან	1,118,848
გადახდილი მოგების გადასახადი	-
	-
ფულადი ნაკადების წმინდა გადინება საოპერაციო საქმიანობიდან	1,118,848
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:	
მოკლევადიანი ინვესტიციები	-
ძირითადი საშუალებები	-
არამატერიალური აქტივები	-
ფულადი ნაკადების წმინდა გადინება საინვესტიციო საქმიანობიდან	-
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან:	
საწესდებო კაპიტალი	-
სესხების მიღება	-
სესხების გადახდა	-
გაცემული დივიდენდი	(1,163,378)
	-
ფულადი ნაკადების წმინდა შემოდიდება ფინანსური საქმიანობიდან	(1,163,378)
წმინდა ზრდა/(შემცირება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	(44,530)
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	1,583,147
საკუროს სხვაობის გადაფასების ეფექტი	43,286
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	1,581,903

შპს “სიზ ჯორჯია სადაზღვეო ბროკერი”-ს ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია ორგანიზაციის შესახებ:

სახელმწიფო რეგისტრაცია:

სახელმწიფო რეგისტრაცია

შპს “სიზ ჯორჯია სადაზღვეო ბროკერი”-ს სახელმწიფო რეგისტრაცია გავლილი აქვს 2015 წლის 17 აპრილს, მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო ნომერი 404491901;

საზოგადოების დამფუძნებელია:

მესაკუთრე:

ტეიმურ გულიევ, C00085261 /აზერბაიჯანი/ - 100%

იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის ქ., N12ა, ოფისი N4

საზოგადოების დირექტორია:

ტეიმურ გულიევ, C00085261 /აზერბაიჯანი/

ორგანიზაციის საქმიანობის სახე:

საბროკერო მომსახურება სადაზღვეო სფეროში;

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა:

2.1 ფინანსური ანგარიშგების შედგენის და წარდგენის საფუძვლები

შპს “სიზ ჯორჯია სადაზღვეო ბროკერი”-ს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მის ფასს მცირე და საშუალო საწარმოებისათვის; კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე. კომპანიაში ფინანსური და ბუღალტრული აღრიცხვის ავტომატიზაციის მიზნით დანერგილია ბუღალტრული აღრიცხვის ელექტრონული საინფორმაციო ტექნოლოგიები, კერძოდ, ბუღალტრული აღრიცხვის კომპიუტერული პროგრამა „ორის”.

2.2 ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. მის ხელმძღვანელობასა და დამფუძნებელს სურვილი აქვთ განაგრძონ კომპანია საქართველოში.

2.3 საანგარიშგებო ვალუტა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ეროვნულ ვალუტაში - ლარში, რომელიც წარმოადგენს კომპანიის ფუნქციონირებად ვალუტას;

2.4 შემოსავალი

შემოსავალი არის საწარმოს ეკონომიკური სარგებლის ზრდა, საანგარიშგებო პერიოდში აქტივების ზრდის ან ვალდებულებების შემცირების გზით, რაც გამოიხატება საწარმოს საკუთარი კაპიტალის გადიდებით, რომელიც დაკავშირებული არაა მესაკუთრეთა მიერ საკუთარ კაპიტალში განხორციელებულ დამატებით შენატანებთან;

ორგანიზაცია განხორციელებს დაზღვევის სფეროში საშუაშალო საქმიანობას. შემოსავლის აღიარება საკომისიოს სახით ხდება ხელშეკრულებაში არსებული პირობების შესაბამისად, როდესაც შესაძლებელია მისაღები ცვლილების სიდიდის საიმედოდ შეფასება.

2.5 ხარჯები

ხარჯი არის საწარმოს ეკონომიკური სარგებლის შემცირება, საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში აქტივების საწარმოდან გასვლის ან ვალდებულებების ზრდის საფუძველზე, რაც გამოიხატება საწარმოს საკუთარი კაპიტალის შემცირებით, რომელიც დაკავშირებული არაა მესაკუთრეებზე გაცემულ განაწილებებთან.

2.6 ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის/მომსახურების რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი/მომსახურება მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, დაბრუნებების, ფასდათმობებისა და რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

2.7 სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

2.8 სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

2.9 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

2.10 სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

2.11 ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

2.12 დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები

ხელფასები, შვებულება და ბიულეტენი, პრემიები, წილობრივი ანაზღაურება და სხვა სარგებელი ირიცხება იმ პერიოდში, რომელშიც შესაბამისი მომსახურება გაიწია კომპანიის თანამშრომლების მიერ, ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულების შემთხვევაში ხდება მათი დაანგარიშება;

2.13 დივიდენდები

დივიდენდები აღიარდება როგორც ვალდებულება და შესაბამისი თანხით მცირდება კაპიტალი იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც მოხდა დივიდენდის გამოცხადება. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე გამოქვეყნებული დივიდენდები განიმარტება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მოვლენებში.

2.14 მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი არის მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადი მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადები ეფუძნება მიმდინარე წლის გატანილ მოგებას. კომპანია გადასახდელი მოგების გადასახადის ვალდებულებასა და ხარჯს აღიარებს განაწილებულ დივიდენდზე იმ პერიოდში, როდესაც დივიდენდები არის გამოცხადებული, მიუხედავად იმისა, თუ რომელ პერიოდს ეკუთვნის დივიდენდი, ან როდის მოხდა დივიდენდების საბოლოო განაწილება.

2.15 გადასახადები

ორგანიზაცია ბიუჯეტის წინაშე ანგარიშსწორებას ახორციელებს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, მენეჯმენტის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და კომპანიას დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. კომპანიას მიაჩნია რომ ყველა გადასახადი გადახდილი აქვს და შესაბამისად, არანაირი ანარიცხი არ წარადგინა ფინანსურ ანგარიშგებაში. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობიდან გამომდინარე, ადგილი არ ექნება რაიმე სახის დამატებითი ვალდებულების დარიცხვას, გარდა იმისა, რაც კომპანიას თვითონ აქვს აღრიცხული შესაბამის პერიოდებში.

2.16 AML/CFT

საქართველოს კანონის დაზღვევის შესახებ შპს სადაზღვევო საბროკერი კომპანია სიზ ჯორჯიას ხელმძღვანელობის მიერ იქნება შემუშავებული შესაბამისი ინსტრუქცია ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. ჩვენ, როგორც აუდიტორებმა, ხელმძღვანელობის მიერ მოწოდებულ საბუთებზე დაყრდნობით ჩავატარეთ აუდიტორული პროცედურები ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ და გამოვთქვამთ მოსაზრებას რომ არ შეგხვედრია ისეთი რამ , რაც მიაქცევდა ჩვენს ყურადღებას აღნიშნული კანონის დარღვევასთან დაკავშირებულს

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2023 წლის 31 დეკემბრის და 1-ლი იანვრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2023	01 იანვარი 2023
ფინანსური მოთხოვნები:		
სავაჭრო მოთხოვნები	2,090,920	1,339,844
არაფინანსური მოთხოვნები		
გადახდილი ავანსები	2,156	-
ჯამი	2,093,076	1,339,844

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები 2023 წლის 31 დეკემბრის და 1-ლი იანვრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2023	01 იანვარი 2023
ფული სალაროში	135	850
ფული ბანკში მიმდინარე ანგარიშებზე, ლარში	298,281	195,037
ფული ბანკში მიმდინარე ანგარიშებზე, უცხოურ ვალუტაში	1,283,487	1,387,259
სულ ფული და ფულის ექვივალენტი	1,581,903	1,583,146

მიღებული სესხები 2023 წლის 31 დეკემბრის და 1-ლი იანვრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

მიღებული სესხები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

სესხის გამცემი:	31.დეკ.23	01.იან.23
ფინანსური ინსტიტუტი	-	-
ჯამი	-	-

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2023 წლის 31 დეკემბრის და 1-ლი იანვრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2023	01 იანვარი 2023
ფინანსური ვალდებულებები:		
სავაჭრო ვალდებულებები	(99,461)	(432,617)
სახელფასო ვალდებულებები	-	1,520
გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი	(1,000)	(1,000)
არაფინანსური ვალდებულებები		
გადასახდელი გადასახადები	-	-
გადასახდელი დივიდენდები	-	-
	(100,461)	(432,097)

შემოსავალი

2023 წლის შემოსავალი შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2023
შემოსავალი მომსახურებიდან	
შემოსავალი მომსახურების გაყიდვიდან-პირდაპირი დაზღვევა	(18,649)
შემოსავალი სათამაშოების გაყიდვიდან-არაპირდაპირი დაზღვევა	(2,783,174)
სულ შემოსავალი	(2,801,824)

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2023
7420, საიჯარო ქირა	23,940
7410, შრომის ანაზღაურება	299,362
7450, საკონსულტაციო ხარჯები	10,701
7430, კომუნიკაციის ხარჯები	-
7490, სხვა საერთო ხარჯები	18,675
სულ ხარჯი	352,678

კურსთა შორის სხვაობით გამოწვეული ზარალი, ნეტო სხვა არასაოპერაციო შემოსავალი
ხარჯები

	2023
8190, სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	46,445
8290, სხვა არასაოპერაციო ზარალი	(43,286)
	3,159

3. სხვა მოვლენები

კომპანიის მენეჯმენტი აცხადებს, რომ კომპანიაში არ მომხდარა ისეთი სხვა მოვლენა 2023 წლის 31 დეკემბრის შემდეგ, რომელიც იქონიებს გავლენას წარდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

4. საანგარიშგებო პერიოდში ორგანიზაციაში მომხდარი ცვლილებები:

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია არსებითი სასამართლო დავები. მენეჯმენტს მიაჩნია, რომ არ მოხდება არანაირი მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად არანაირი ანარიცხი არ არის შექმნილი სასამართლო დავებთან დაკავშირებით.

5. ფინანსური ანგარიშგების შედგენის შემდგომი თარიღისთვის მომხდარი მოვლენები

კომპანიის მენეჯმენტი აცხადებს, რომ კომპანიაში არ მომხდარა ისეთი მოვლენა 2023 წლის 31 დეკემბრის შემდეგ, რომელიც იქონიებს გავლენას წარდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

6. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ხელმძღვანელობამ ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა 2024 წლის 8 აპრილს